ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 121.
შპს "ნეოგაზი"-ს კუთვნილ

მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდით 01.13.01.001.080)

არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული ობიექტის (გაზგასამართი სადგურის) რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41

დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

საექსპერტო დასკვნა

დამკვეთი	შპს "ნეოგაზი"
პროექტის ავტორი	ლ. ინასარიძე
ექსპერტი	ბ. დავითური

2023

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად, ექსპერტიზისათვის გადმოიცა საპროექტო შენობის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

• საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტის ზოგადი ინფორმაცია (არქიტექტურული პროექტის შემადგენლობის ჩამონათვალი; პირობითი აღნიშვნები; შენობა-ნაგებობის პროექტირების აღწერილობა; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი).
• საპროექტო შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი.
• საპროექტო მიწის ნაკვეთის გენერალური-გეგმა.
• შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმა.
• შენობა-ნაგებობის ჭრილები.
• შენობა-ნაგებობის ფასადები.
• შენობის მოცულობითი ვიზუალიზაცია.

შენიშვნა:

• საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
• ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.
• დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.
• საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
• საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
• სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-

კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.

• საპროექტო შენობის მთლიანი ან ნაწილობრივი ფუნქციის ან/და დაკავებულობის ცვლილების შემთხვევაში, კორექტირებული არქიტექტურული დოკუმენტაცია შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან და მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან.

• უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი (საკ. კოდით 01.13.01.001.080) მდებარეობს ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 121. მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 2856.0 კვ. მ-ს. ნაკვეთს ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება; ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა, ხოლო დანარჩენ სამ მხარეს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები.

საპროექტო ობიექტი ამჟამად წარმოადგენს გაზგასამართ სადგურს, რომლის ტერიტორიაზეც განთავსებულია ჩარდახის ქვეშ მდებარე ბუნებრივი აირის სამი გამშვები სვეტი და ძირითადი შენობა, რომელშიც განთავსებულია საოპერატორო, მენეჯერი, საგენერატორო, საკუჭნაო, ელ.ფარი, სანკვანძი და ბუნებრივი აირის საკომპრესორო დანადგარების ოთახები.

ტერიტორიაზე რეკონსტრუქციით იგეგმება; ნავთობპროდუქტების მარიგებელი სვეტისა და ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა ავზების (რკინაბეტონის სარკოფაგში) მოწყობა. კერძოდ: რეკონსტრუქციისას მოხდება ჩარდახის ქვეშ მდებარე ბუნებრივი აირის გამშვები სამი სვეტიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მხოლოდ ერთი სვეტის ჩანაცვლება ნავთობპროდუქტების მარიგებელი ერთი სვეტით. ასევე ნულოვანი ნიშნულის ქვემოთ მოეწყობა ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა სამარაგე ავზები (რკინაბეტონის სარკოფაგში), რომელიც განთავსდება არსებული ფარდულიდან ჩრდილოეთით.

ადმინისტრაციული შენობა ადაპტირდება შშმ პირთათვის. ადმინისტრაციული შენობის შესასვლელში და მოსაცდელ სივრცეზე მოეწყობა პანდუსები უნარშეზღუდულთათვის 8%-ანი დახრილობით, ასევე ადაპტირდება შშმ პირთათვის შენობაში მოწყობილი სველი წერტილი.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

გათვალისწინებული არის მეტალის კარკასული რიგელიანი მსუბიქი გადახურვებით. გარეკედლების შევსება შესრულებულია 30 მმ. სისქის მეტალით დაფარული სენდვიჩპანელებით საძირკვლების საფუძველი არის ლენტური. შიდა ტიხრები შესრულებულია 30 მმ სისქის მეტალით დაფარული სენდვიჩპანელებით, რკინის რიგელების კვეთის ზომებია 100/100 მმ. გადახურვისთვის გამოყენებულია რკინის კარკასზე მოწყობილი თუნუქის ფურცელი.

ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილების ექსპერტიზა. დოკუმენტის № IMP-II01-17-ის შესაბამისად.

2, ექსპერტიზის შესრულების პროცესში გამოყენებული იქნა:

2.1 საქართველოს მთავრობის 2016წლის 28 იანვრის №41 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის „შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების „ დამტკიცების თაობაზე;
2.2 საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების სესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება.

კვლევითი ნაწილი:

ქალაქი ქუთაისი, ქუჩა ნიკეა, N 8, ნაკვ N2. არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული ობიექტის (გაზგასამართი სადგურის) რეკონსტრუქცია (ნავთობპროდუქტების გამშვები ერთი სვეტის და ნავთობპროდუქტების სამარაგე ავზების დამატება). არქიტექტურული პროექტის ნაწილების ექსპერტიზა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების „ დამტკიცების თაობაზე;საქართველოს მთავრობის 2016წლის 28 იანვრის №41 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების სესახებ“

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე 309–ე ქვეთავს. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
სავაჭრო ჯგუფი სვ (ბენზინგასამართს და გაზგასამართ სადგურებს; ±0,00 ნიშნულზე).
საქმიანი ჯგუფი სქ (ოფისი ±0,00 ნიშნულზე).
დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს (საკომპრესორო, საგენერატორო, ელ. ფარი და საკუჭნაო ±0,00 ნიშნულზე).
დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ-2(მიწის ქვეშა ავზები -4.30 ნიშნულზე).

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

კონსტრუქციის კვლევის საფუძველზე დადგინდა , რომ საპროექტო შენობა შეესაბამება V-B(მიწისპირა სართული) და I-B(საწვავის მიწისქვეშა ავზები) კონსტრუქციის ტიპს და შენობის ელემენტები (გარე და შიგა მზიდი კედლები სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს 601ქვეთავის მოთხოვნებს.

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	V-B მიწის დონის ზემოთ I-B მიწისქვეშა თხევადი საწვავის ავზები

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

საპროექტო სენობის ტექნიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე: სტრუქტურული სიმაღლე 5.70 მ. საერთო 332.4 კვ.მ, 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლე და ფართობი) ,შენობის სიმაღლის შეზღვუდები ნაჩვენებია სართული მიწის დონის ზევით, ფართობის შეზღვუდები ნაჩვენებია მეტრკვადრატებში . შენობის ფართობის განსაზღვრების მიხედვით პროექტის მონაცემების შესაბამისად განისაზღვრა კონსტრუქციის ტიპი V-B და მიწისქვეშა თხევადი საწვავის ავზები I-B ტიპის კონსტრუქციით.

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები სართულიანობა**	**შემოთავაზებული სართულიანობა**
სავაჭრო ჯგუფი სვ	1 სართული	1 სართული
საქმიანი ჯგუფი სქ	2სართული	1 სართული
დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს	1 სართული	1 სართული

დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ-2	შეუზღუდავი	მიწის ქვეშა ავზები
	დასაშვები სიმაღლე	შემოთავაზებული სიმაღლე
საერთო სიმაღლე =	12.2	5.70
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =		1

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები ფართობი	შემოთავაზებული ფართობი
სავაჭრო ჯგუფი სვ (±0,00 ნიშნულზე).	840	15.7
სავაჭრო ჯგუფი სვ (±0,00 ნიშნულზე).	840	5.6
სავაჭრო ჯგუფი სვ (±0,00 ნიშნულზე).	840	5.6
საქმიანი ჯგუფი სქ (±0,00 ნიშნულზე).	840	17.6
დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს	510	250.2
დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ-2	შეუზღუდავი	60 ტ.
იატაკის საერთო ფართობი =	294.7	
იატაკების რაოდენობა =	1	
შენობის საერთო ფართობი =	332.4	

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 5, ქვეთავი 503, ცხრილი 503.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს

4. გასასვლელების, გასასვლელებთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

წესების მე–10 თავის 1004 ქვეთავის, 1004. 1.2 ცხრილის საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის შედეგად დადგინდა , რომ შენობის სართულზე არსებული ჯგუფების დაკავებულობის დატვირთვა წარმოადგენს; საქმიქნი ჯგუფი **სქ** (საოპერატორო და საოფისე ოთახები) დ.დ.=2, და დამხმარე ჯგუფი **დს** (საკომპრესორო, საგენერატორო, ელ. ფარი და საკუჭნაო). დ.დ.=12, გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი არის 16.84 მ. რაც აკმაყოფილებს 1021.2(2) ცხრილის.

5. გასასვლელის საშვალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
პირველი სართული	სქ (საოპერატორო და საოფისე ოთახები) დ.დ 2	1	2 (გზა კარი)			0.9	1.2	0,82 მ.	0.90 მ.

	დს (სატრანსფორმატორო ელ. ფარი, საკუჭნაო და საკომპრესორო) **დ.დ 12**	**1**	**3** (გზა კარი)			**0.9**	**1.05**	**0,82 მ.**	**0.90 მ.**

გასავლელი გზა–კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას გზა–კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით. გზა–კარების გამტარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2 ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5,1მმ) პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 0.90 მ. სიგანის კარებები.

შენიშვნა-რეკომენდაციები:

- *დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს დერეფნები, გასასვლელის გზა-დერეფნები და შენობიდან გამოსასვლელები.*
- *გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს.*
- *მთელ შენობაში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი ნიშანთა სისტემის განთავსება, რომელიც უზრუნველყოფს შენობაში მყოფ ადამიანების მარტივ თვით ევაკუაციას.*

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 10, ქვეთავები 1005, 1008, 1009 დან 1013

გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

6. შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება.

ყველა გამოყენებული სივრცე ნიავდება ბუნებრივი განიავებით, რაც შეესაბამება 1203-ე ქვეთავს.

ბუნებრივი განიავების მიზნით მოწყობილი ღიობების მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში არ არის გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ზე

ნაკლები, რაც შესაბამისობაშია 1203.4.1 პუნქტის მოთხოვნას.
ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

7. მისაწდომლობის შეფასება:

მე–11–ეთვის მოთხოვნების შესაბამისად გეგმაზე მითითებულია მისაწდომლობის სვლაგეზი და განსაზღრულია მისაწდომის შესასვლელი. შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის. შენობის შესასვლელებში მოეწყობა პანდუსები უნარშეზღუდულთათვის 8%-ანი დახრილობით, ასევე ადაპტირდება შშმ პირთათვის შენობაში მოწყობილი სველი წერტილები.

8. გარეკედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო შენობის გარეკედლების ყველა კომპონეტი კერძოდ გარეკედლების ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი განსაზღრულია 705 ქვეთავის მიხედვით და შეესაბამება 705,8 ცხრილს გარეკედლების ცეცხლმედეგობის უზრუნველყოფა შესრულებულია 602 ცხრილის მიხედვით.

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
(ბ-ზ ღეძებში)	4.88 მ.	1 საათი	1 საათი	-	-	15 %	-	-	6 %
(ზ-ბ ღეძებში)	28.40 მ.	არ მოეთხოვება	არ მოეთხოვება	-	-	შეუზღუდავია	-	-	არ მოეთხოვება

(18-1 ღეძებში)	3.15 მ.	1 საათი	1 საათი	-	-	15 %	-	-	4 %
(1-18 ღეძებში)	11.48 მ.	არ მოეთხოვება	არ მოეთხოვება	–	–	შეუზღუდავია	–	–	არ მოეთხოვება

გარე კედლები შემოზღუდულია ერთსაათიანი ცეცხლმედეგი კედლით. აღნიშნულ კედლებში მოსაწყობი ღიობების პროცენტულობა დაცულია 705.8 ცხრილის მიხედვით.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 602, ცხრილი 602. თავი 7, ქვეთავი 705, ცხრილი 705.8.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო

9. სახურავის ანაწყობების შეფასება:

სახურავის კონსტრუქცია და არაძირიტადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. სახურავის ანალიზის სემდეგ დადგინდა, რომ სახურავის მზიდი და არამზიდი ელემენტები აკმაყოფილებს კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე მოთხოვნილ 0 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს ჩარდახები (საწვავის გამანაწილებელი ადგილის გადახურვა). ჩარდახების თავისუფალი სიმაღლე, რომლის ქვეშაც საწვავი ნაწილდება, ავტომობილების სამოძრაო არეალის ყველაზე დაბლა მდებარე შვერილ ელემენტამდე არ არის 4,1 მ-ზე ნაკლები. ჩარდახები და მათი საყრდენები, რომლებიც ტუმბოების თავზეა, არის არაწვადი მასალების: ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხიანი კონსტრუქცია. ჩარდახზე ან ჩარდახში გამოყენებული წვადი მასალები არის 0,3 მმ სისქის ალუმინის საფარით ან კოროზიამედეგი ფოლადით დაფარული პლასტმასი, რომლის ძირითადი ლითონის მინიმალური სისქე 0,4 მმ-ია. პლასტმასის ალის გავრცელების ინდექსი არის 25 –ზე ნაკლები, კვამლის წარმოქმნის ინდექსი კი – 450 ზე ნაკლები, ხოლო თვითაალების ტემპერატურა – 343°C ზე მეტი.
შუქგამტარი პლასტმასის მასალებით აგებული პანელები განთავსდება ავტოგასამართი სადგურების საწვავის გამანაწილებლების ზემოთ მდებარე ჩარდახებში, პანელები განთავსებულია იმავე მიწის ნაკვეთზე მდებარე ნებისმიერი შენობიდან, სულ მცირე, 3 მ-ზე და სხვა მხარეებიდან, არანაკლებ, 12 მ–ზე. პლასტმასის საერთო ფართობი არ აღემატება 100 მ²-ს.

თითოეული პანელის მაქსიმალური ფართობი არ აღემატება 10 მ²-ს. თანაზმად 406.7.2 ქვეთავისა.

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 6, ქვეთავი 601. თავი 4, ქვეთავი 406.7

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

10. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ვინაიდან წარმოდგენილი პროექტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება არითხოვს ავტოსაშხეპის სისტემის მონტაჟს მისაღებია ხელის ცეცხლმსქრების განთავსება

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეპი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმოჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები
სავაჭრო ჯგუფი სვ						კი	
საქმიანი ჯგუფი სქ			კი		კი	კი	
დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს			კი		კი	კი	
დიდი საფრთხის შემცველი ჯგუფი დსშ-2			კი				
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები				კი (შენობის გარეთ)			

✓ **ხელის ცეცხლმაქრები:**

• შენობაში არსებული დაკავებულობები აღჭურვილია ხელისცეცხლმაქრი სისტემებით 906.1 ქვეთავისა.

ცეცხლსაქრობები განთავსდება შენობის ყოველ 23 მეტრში, თანახმად 906.3(1) ცხრილისა.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

პორტატიული ცეცხლსაქრობები უნდა განთავსდეს შესამჩნევ ადგილებში, რათა მათთან მისვლა და დაუყოვნებლივ გამოყენება ადვილი იყოს. ასეთი ადგილებია ჩვეულებრივი სავალი ბილიკების გასწვრივ, თუ სახანძრო-სამაშველო დანაყოფი არ დაადგენს, რომ არსებული საფრთხის გამო ცეცხლსაქრობები ჩვეულებრივი სავალი ბილიკებიდან მოშორებით უნდა განთავსდეს.

პორტატიული ცეცხლსაქრობები არ უნდა განთავსდეს ძნელად დასანახ ადგილებში. თუ ოთახებში ან ფართობებზე პორტატიული ცეცხლსაქრობების დანახვას რაიმე აბრკოლებს, უნდა არსებობდეს სპეციალური მინიშნებები, რომლებიც ცეცხლსაქრობების მდებარეობაზე მიუთითებს.

ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომლებიც არ არის მოთავსებული კარადებში, უნდა ჩამოიკიდოს საკიდებზე ან განთავსდეს ბრჯენებზე. საკიდები და ბრჯენები კარგად უნდა დამაგრდეს საყრდენ ზედაპირზე მწარმოებლის მითითებების შესაბამისად.

პორტატიული ცეცხლსაქრობების განსათავსებელი კარადები არ უნდა იკეტებოდეს.

პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა არ აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა მოეწყოს, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,5 მ-ზე მეტად.

ხელში დასაჭერი პორტატიული ცეცხლსაქრობები, რომელთა მთლიანი წონა აღემატება 18 კგ-ს, ისე უნდა დააყენონ, რომ მათი თავები არ სცდებოდეს იატაკს 1,1 მ-ზე მეტად.

✓ **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:**

• წესების მეცხრე თავის 907.2.11 ქვეთავის შესაბამისად შენობის ყველა დაკავებულობებში მოწყობილია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის სისტემები

• 907.5 ქვეთავის თანახმად დს და სქ ჯგუფის დაკავებულობებში მოწყობილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინებას. შენობაში ასევე მოწყობილია კვამლგამწოვი სისტემები.

✓ **სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:**

• საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი.

• ჰიდრანტთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა/რეკომენდაციები:

• *ჰიდრანტების (წყლის ასაღები წერტების), საავტომობილო გზების, შენობებისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ სისტემასთან მიერთებულმა სახანძრო აპარატურამ და სახელოებმა სხვა სახანძრო აპარატურას არ ჩაუხერგოს შენობასთან მისასვლელი. სახანძრო მისაერთებლების მდებარეობა შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.*

• *სახანძრო მისაერთებლებთან მისასვლელი ყოველთვის თავისუფალი უნდა იყოს და არასოდეს ჩაიხერგოს ღობეებით, ბუჩქებით, ხეებით, კედლებით ან სხვა მსგავსი ობიექტებით. სახანძრო მისაერთებლებთან მისადგომი შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.*

გასათვალისწინებელი საკითხები:

• ***არცერთ პირს არ შეუძლია აიღოს ან შეცვალოს ხანძრისგან დამცავი წესების შესაბამისად გათვალისწინებული და მოწყობილი რომელიმე სისტემა, მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანხმობის გარეშე.***

• ***უკანონოდ უნდა ჩაითვალოს შენობის რომელიმე ნაწილის გამოსაყენებლად ვარგისად აღიარება, თუ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები წინასწარ შემოწმებული და აღიარებული არ არი***

ხანძრისგან დაცვის სისტემების მოწყობის აუცილებლობა განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით.

11. წყალსადენის სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს (ცხრილი 1602.)

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით													
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი რაოდენობა	დაშვებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	დაშვებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	დაშვებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	დაშვებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	დაშვებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	დაშვებული რაოდენობა
პირველი სართული	სქ (საოპერატორო და საოფისე ოთახები) დ.დ 2	1	1	1	1		1	1	1		1	1	1
	დს (სატრანსფორმატორო ელ. ფარი, საკუჭნაო და საკომპრესორო) დ.დ 12												

გამოყენებულია №41 დადგენილების - თავი 16, ქვეთავი 1602, ცხრილი 1602.1

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები განსაზღვრულია „წესების“ მიხედვით

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის– :შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო–სამსენებლო სფეროსი გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებისთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისათვის მოწოდებული დოკუმენტაცის სისწორეზე და რეალობასთან სესაბამისობაზე პასუხისგებელია მომწოდებელი მხარე შპს "ნეოგაზი"-ს არქიტექტორი ბატონი ლევან ინასარიძე

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა დაკავებულობის დატვირთვა, მისაწდომლობა და სხვა) შეესაბამება წესწბში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი „შენობა–ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება „ მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ (ცვლილება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება).

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 121. შპს "ნეოგაზი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდით 01.13.01.001.080) არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული ობიექტის (გაზგასამართი სადგურის) რეკონსტრუქციის არქიტექტურული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან. ასევე ვადასტურებთ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით გათვალისწინებულ არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

ექსპერტი : ბექა დავითური
თარიღი: 31.08.2023 წ.

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 121. შპს "ნეოგაზი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდით 01.13.01.001.080) არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული ობიექტის (გაზგასამართი სადგურის) რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის

ტექნიკური რეგლამენტი

„მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საფუძველზე შეფასება.

1.	მისაწვდომი სვლაგეზი.	▪ სავალი ზედაპირი: ▪ კარი: ▪ პანდუსი:
2.	წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები.	▪ ტუალეტის ოთახი: ▪ უნიტაზი: ▪ ხელსაბანი:
3.	საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები.	▪ ნიშნები:
4.	ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები.	▪ სამუშაო ზედაპირები:

1. მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს და კარებს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით და ასევე საპროექტო ფართში მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:487-ს თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- იატაკის ზედაპირზე დონე არ იცვლება, შეასბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოვებისას და მოსატრიალებელთან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

- საპროექტო ფართში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. კარებები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისთვის ტავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48 -ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლის სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ა რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნებს. რაც შეეხება ამავე ქვეთავებით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილებების საკითხს, კარებებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეთეს 1200 მმ სიმაღლეზე რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ს საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და სხვა შემაფერხებელი გამოწეული ნაწილი არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ს საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. პანდუსი, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 405 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- პანდუსისის ქანობი არ არის 1:12-ზე მეტად დახრილი, რაც აკმაყოფილებს 405.2 ქვეთავს.
- პანდუსის გვერდითა დახრა შეესაბამება 405.3 ქვეთავის მოთხოვნას და არ არის 1:48-ზე მეტი.
- პანდუსის იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნებს.
- პანდუსის თავისუფალი სიგანე 900 მმ-ზე მეტია, რაც შეესაბამება 405.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- პანდუსის ამაღლება არ არის 750 მმ-ზე მეტი, რაც აკმაყოფილებს 405.6 ქვეთავს.
- პანდუსის ბაქანი შეესაბამება 405.7 ქვეთავს. ბაქნის თავისუფალი სიგანე ტოლია პანდუსის ტავისუფალი სიგანისა, ბაქნის სიგრძე არ წარმოადგენს 1500 მმ-ზე ნაკლებს. ბაქნის დახრა არ არის 1:48-ზე მეტი, რაც შეესაბამება 405.7.1, 405.7.2 და 405.7.3 ქვეთავების მოთხოვნებს.
- პანდუსის მოაჯირები შეესაბამება 505-ე ქვეთავს.
- პანდუსის ზღუდის სიმაღლე წარმოადგენს 100 მმ-ს, რაც აკმაყოფილებს 405.9.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

2. წყალსადენი ელემენტები და მოწყობილობები:

1. საპროექტო ფართში განთავსებული ტუალეტი შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია საპროექტო შენობებისათვის განკუთვნილი T-ს ფორმის სივტცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ტუალეტის ოთახის კარი არ იჭრება მოწყობილობებისთვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.

2. ტუალეტის ოთახში განთავსებული უნიტაზი შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- უნიტაზი განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- უნიტაზთან მოწყობილია თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, რაც აკმაოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

- უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 430 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.

- უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნით და დაცვით.

- უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.

- უნიტაზთან განთავსებული დისპენსერები მოწყობილია 604.7 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად.

3. ტუალეტის ოთახში განთავსებული ხელსაბანი შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 606.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606.3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

3. საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. საპროექტო ფართში ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- საპროექტო ფართიდან გარეთ გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრიალით, წარწერით „გასასვლელი/EXIT” აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრიალებთან მიმართებაში.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოები და სქესის აღმნიშვნელი პიქტოგრამები მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტის ოთახთან. ნიშანი შეესაბამება 703.3, 703.6.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

2. ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

- ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასოებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა. ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF”-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 და 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ამობურცული სიმბოლოების და და ბრაილის შემცველი ნიშნების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სიმბოლოები ფონისაგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ) თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

3. ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

- ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამებოდეს 703.4.3 ცხრილს.

- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

4. ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული პიქტოგრამები შეესაბამება 703.5 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- პიქტოგრამების ველის ზომა და სხვა მოთხოვნები შეესაბამება 703.5.2 ქვეთავს.

- პიქტოგრამები კონტრასტულია თავისი ველებიდან, ანუ მუქი ფერის პიქტოგრამა განთავსებულია ღია ფერის ველზე, რაც შეესაბამება 703.5.3 ქვეთავის მოთხოვნას.

5. ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონიდან, ანუ მუქი ფერის სიმბოლოები მოწყობილია ღია ფერის ფონზე, 703.6.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

4. ჩაშენებული ავეჯი და მოწყობილობები:

სამუშაო ზედაპირები შეესაბამება 902 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 902.2 ქვეთავს

- დაუფარავი ზედაპირები შესაბამება 902.3 ქვეთავს. სასადილო და სამუშაო ზედაპირების დაფარავი ნაწილების ქვეშ არ არის ბასრი და უხეში ზედაპირები.
- სამუშაო ზედაპირები განთავსებულია არაუმეტეს 860 მმ.-ზე რაც შეესაბამება 902.4 ქვეთავს.

შეფასება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგბაჩნია, რომ რომ ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 121. შპს "ნეოგაზი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდით 01.13.01.001.080) არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული ობიექტის (გაზგასამართი სადგურის) რეკონსტრუქციიის არქიტექტურული პროექტის მისაწვდომობის საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებთან. ასევე ვადასტურებ, რომ მისაწვდომობის პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე. მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ბექა დავითური

თარიღი: 31.08.2023 წ.

სერტიფიკატი

№ 2017-135

გადაეცემა

ბექა დავითურს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი. დირექტორი

GEORGIA

DIPLOMA AA № 0015379

BEKA DAVITURI

enrolled in 1991 in TBILISI STATE ACADEMY OF ARTS and in 1997 graduated the full course of THE ACADEMY OF ARTS

specializing in the field of ARCHITECTURE

By the Decision of the State Examination Commission of JUNE, 28 1997 HE was awarded the qualification AN ARCHITECT-RESTORER

Rector

Chairman of the State Examination Commission

Dean

Seal

City TBILISI 1997

Registration No 5943 Registrar

საქართველო

დიპლომი AA № 0015379

1991 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და 1997 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემიის ფაკულტეტის სრული კურსი სპეციალობით. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 199 7 წლის „28" ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა არქიტექტორ-რესტავრატორის კვალიფიკაცია.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 1997 წ.

სარეგისტრაციო No 5943 რეგისტრატორი

რეზიუმე
ბექა დავითური

დაბადების თარიღი, ადგილი;	1974 წელი 10 სექტემბერი, ქ. დუშეთი
საკონტაქტო ინფორმაცია;	ქ.თბილისი ვ. ბიქტორიშვილის № 12ა მობ. 571005999, 558617746
განათლება: 1991-1997 წ.	თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის ფაკულტეტი(მაგისტრატურა გაიარა).
სამუშაო გამოცდილება; 1994-2006 წ.	არქიტექტორ გიგა ბათიაშვილი-ს არქიტექტურულ-შემოქმედებითი სახელოსნო. შპს „თეთრი ქალაქი" თანამდებობა; არქიტექტორი. საპროექტო ობიექტი; კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი „თეთრი ქალაქი"
2006-2007 წ.	შპს „არტსტუდიო პროექტი" თანამდებობა; არქიტექტორი.
2007 წ.- დან დღემდე	ი/მ ბექა დავითური „ორნამენტი"-ის დირექტორი საიდენტიფიკაციო კოდი: 105014270

დაპროექტებული ობიექტების ჩამონათვალი:

1. ქ. თბილისი, ჯავახეთის № 11 ბანკის შენობა (საკ.კოდი 01.19.20.009.023) 2001 წ.
2. ქ. თბილისი დ. აბაშიძე № 10 თბილისის თბოელექტროცენტრალი: (რეკონსტრუქცია) (საკ.კოდი 01.16.05.012.028) 2003 წ.
3. ქ. თბილისი გამზ. ალ.ყაზბეგი № 34 ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 01.14.03.040.036) 2003 წ.
4. ქ. თბილისი, ყაზბეგი მოსკოვი № 24ა შპს „ZIM" საოფისე შენობა (საკ.კოდი 01.19.34.002.194) 2003 წ.
5. ქ. თბილისი გამზ. მუკუზნი № 5ა საოფისე-კომერციული ნაგებობა; (საკ.კოდი: 01.10.13.031.004) 2007 წ.
6. ქ. თბილისი გლდანის VII მ/რ პურის ხარხანა და სასტუმრო (საკ.კოდი 73.13.27.673) 2009 წ.
7. ქ. თბილისი სოფ წავკისი ინდ. საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 81.02.12.413) 2019 წ.
8. ქ. გორი ქუჩა ჭავჭავაძე № 54 საჭრელიცლის შპს შიდ ქარხნის მთავარი სამარილეს შენობა (საკ.კოდი 66.45.24.180) 2007 წ.
9. ქ. ბათუმი დ. კლდიაშვილის № 3 პრივალდინიანი საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 05.22.10.014) 2009 წ.
10. ქ. დუშეთი, თამიაანთკარი, ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 71.63.58.597) 2017 წ.
11. ქ. დუშეთი ნაჩაშას ქუჩა № 59 ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 71.51.02.405) 2018 წ.
12. ქ. დუშეთი ზანდუკელის ქუჩა № 64 ინდ საცხოვრებელი სახლი (საკ.კოდი 71.51.02.884) 2017 წ.

ი/მ ბექა დავითური ----------



ბექა დავითური

საექსპერტო გამოცდილება

„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე.

თბილისი

1. ავლაბარი სასტუმრო (საკ.კოდი 01.17.01.050.032) AR1639230
2. ქ. ქინძმარაული მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯრების დამამზადებელი საწარმო (საკ.კოდი 01.19.33.001.244) AR16318755
3. ლილო საწყობები (საკ.კოდი 81.08.16.806) AR1620789 და AR1644907
4. წავკისი ერთბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 81.02.20.363) AR1565548
5. ქ. გამრეკელი ორბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 01.14.02.026.008) AR1657636
6. ქ. წურწუმია ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 01.17.01.050.017) AR1658077
7. აღმ. ხეივანი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 01.72.14.007.615) AR1659801
8. ვაშლიჯვარი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 01.10.11.001.168) AR1578334

რეგიონები

1. ქ. ბათუმი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 05.29.24.101)
2. ქ. ფოთი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 04.01.03.876)
3. ქ. ბორჯომი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 64.22.08.011)
4. ქ. დმანისი ბენზოგასამართი სადგური (საკ.კოდი 82.01.41.189)
5. მანგლისი სასტუმრო (საკ.კოდი 84.18.39.415)
6. ურეკი სასტუმრო (საკ.კოდი 26.28.12.642)
7. ბაკურიანი ორბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 64.30.11.056)
8. ქ. წნორი ჩურჩხელების დამამზადებელი საწარმო (საკ.კოდი 56.04.55.094)
9. ქ. ხონი ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა (საკ.კოდი 37.07.46.031)
10. ქ. რუსთავი გასართობი ცენტრი (საკ.კოდი 02.02.06.574)
11. ქ. რუსთავი სავაჭრო ცენტრი (საკ.კოდი 02.02.04.281)
12. ქ. რუსთავი სავაჭრო ცენტრი (საკ.კოდი 02.02.02.508)
13. ქ. რუსთავი მრავალბინიანი საცხოვრებელი (საკ.კოდი 02.03.04.772)
14. მუნიციპალიტეტი წალკა, დაშბაშის კანიონის ბუნებრივი ძეგლი; ვიზიტორთა ცენტრი(საკ.კოდი 85.25.21.527)
15. მუნიციპალიტეტი წალკა, დაშბაშის კანიონის ბუნებრივი ძეგლი; რესტორანი (საკ.კოდი 85.25.21.527)


Georgia
GEO
ბექა
BEKA
დავითური
DAVITURI
GEO 38 / M
01026011496
10.09.1974
04.02.2029
18IC71464